

ქვეყნების რეიტინგი მოსახლეობისათვის ელ. ენერჯის ღირებულების მიხედვით

ქვეყანა	ლარი/კვტ-სთ	კვტ-სთ-ების რაოდენობა მოქალაქის საშუალო თვიურ შემოსავლთან მიმართებაში
დანია	0,65	8802
კვიპროსი	0,61	-
გერმანია	0,57	8463
ბელგია	0,51	8847
იტალია	0,48	7658
ირლანდია	0,47	10347
შვეცია	0,44	12849
პორტუგალია	0,44	5552
ავსტრია	0,43	11037
ნიდერლანდები	0,41	14116
ესპანეთი	0,41	9008
სლოვაკეთი	0,38	3618
მალტა	0,37	7311
ლუქსემბურგი	0,37	17631
დიდი ბრიტანეთი	0,37	14658
უნგრეთი	0,35	3216
ფინეთი	0,34	15644
სლოვენია	0,34	6158
ჩეხეთი	0,33	5066
პოლონეთი	0,31	4146
საფრანგეთი	0,31	15247
საბერძნეთი	0,3	7506
ლატვია	0,3	3411
თურქეთი	0,29	-
ლიტვა	0,28	3484
ხორვატია	0,26	-
ესტონეთი	0,24	6055
მოლდოვა	0,23	1677
რუმინეთი	0,23	3153
ნორვეგია	0,21	38792
ბულგარეთი	0,18	3026
საქართველო	0,175	-
რუსეთი	0,13	10027
ყაზახეთი	0,11	9730
უკრაინა	0,06	9103
ბელორუსი	0,05	13177

ცხრილში მოცემულია ევროპის ქვეყნების რეიტინგი მოსახლეობისათვის ელ. ენერჯის ღირებულების მიხედვით. რეიტინგი მომზადებულია 2012 წლის მე-2 კვარტალის მდგომარეობით და ეყრდნობა ამ ქვეყნების სტატისტიკის სამსახურების და მარეგულირებელი ორგანოების მონაცემებს.

ფასები გაანგარიშებულია ეროვნული ვალუტების ლარში გადაყვანის შედეგად.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მაღალი ფასის გადახდა ელ. ენერჯისათვის დანიელს უწევთ - 65 თეთრი 1 კვტ/სთ. დანიის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას პრაქტიკულად არ გააჩნია სათბობის საკუთარი მარაგები და ჰიდრო რესურსები, აკრძალულია ატომური ელექტროსადურების მშენებლობა და სხვა ქვეყნებთან შედარებით, აქტიურად მიმდინარეობს ენერჯის განახლებადი წყაროების ათვისება (ქარის და მზის ენერჯია). დანიის ენერჯეტიკის სააგენტოს მონაცემებით, ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენება უზრუნველყოფდა ელ. ენერჯიაზე ქვეყნის მოთხოვნილების 40,7%-ის დაკმაყოფილებას. როგორც შედეგი, „მწვანე“ ენერჯია „მწვანე“ ტარიფით ნაზღაურდება, რომლის ღირებულება გაცილებით მაღალია, ვიდრე ტრადიციული მეთოდებით მიღებული ელ. ენერჯისა.

მეორე ადგილი რეიტინგში კვიპროსმა დაიკავა. მისი თავისებურება მდგომარეობს იზოლირებული ენერჯოსისტემის არსებობაში, რომელსაც თავის მხრივ გეოგრაფიული მდგომარეობა განაპირობებს. ელ. ენერჯის წარმოებაში გამოიყენება მაზუთი. როგორც შედეგი, ელ. ენერჯის ტარიფი ცალსახად არის მიბმული მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასებზე. 1 კვტ.სთ ელ. ენერჯის ღირებულება კვიპროსელებისათვის შეადგენს 61 თეთრს. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კვიპროსელებისათვის ელ. ენერჯის ღირებულებამ 80%-ით მოიმატა.

ფასების სიძვირის მიხედვით პირველ სამეულშია ასევე გერმანია. გერმანია, ისევე როგორც დანია, წარმოადგენს მსოფლიო ლიდერს ალტერნატიული ენერჯის წყაროების გამოყენების თვალსაზრისით. ალტერნატიული ენერჯეტიკა ელ. ენერჯიაზე ქვეყნის მოთხოვნილების 20%-ს აკმაყოფილებს.

ფასების ანალიზმა ასევე ერთი საიტერესო ტენდენცია გვიჩვენა. მთელი რიგი ქვეყნებისათვის მაღალი ტარიფები სულაც არ არის დამოკიდებული მშპ-ზე და სხვა ფაქტორებით განისაზღვრება.

ელ. ენერჯის ყველაზე დაბალი ტარიფი მოსახლეობისათვის ბელორუსიაშია. თუმცა ეს უფრო სოციალური ფასია, ვიდრე ეკონომიკურად გამართლებული ტარიფი.